ლ ა პ ა რ ა კ ი

I დავალება.

პირველი შეკითხვა.

ვინ მიგაჩნიათ მისაბაძ პიროვნებად და რატომ?

მეორე შეკითხვა.

თქვენი აზრით, რა უფრო სასარგებლოა მოსწავლეებისათვის: ლაშქრობაში წასვლა თუ ექსკურსია რომელიმე მუზეუმში? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

II დავალება.

გაიხსენეთ სკოლა, რომელშიც სწავლობდით და შეადარეთ თანამედროვე სკოლას. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

<u>პასუხი დაასაბუთეთ</u>!

III დავალება.

მოისმინეთ სიტუაციის აღწერა და იმსჯელეთ არგუმენტირებულად.

სიტუაცია:

კრებაზე მასწავლებელმა სთხოვა მშობლებს, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრებაში – სისტემატურად ჩაერთონ ღონისძიებების, ექსკურსიების დაგეგმვასა და მოწყობაში, დაეხმარონ შვილებს პროექტების მომზადებაში. ზოგმა მშობელმა არ გაიზიარა მასწავლებლის პოზიცია. მათი აზრით, საჭირო არ არის მშობლების მეტისმეტი აქტიურობა. გამოთქვით თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.

არგუმენტირებულად დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია!